საზოგადოებრივი გეოგრაფია

1. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია**
   საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი

2. **პროგრამის ხელმძღვანელი**
   პროფესორი იოსებ სალუქვაძე

3. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

პროგრამის მიზნები:

საზოგადოებრივ გეოგრაფიაში სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

- სადოქტორო პროგრამის მონაწილეების მაღალი დონის მეცნიერებად და პედაგოგებად ჩამოყალიბებას.
- მეცნიერული კვლევის საფუძველზე სრულყოფილი სამეცნიერო ნაშრომების შესრულებას და ამის საფუძველზე მათი როლის ამაღლებას საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებასა და სრულყოფაში.

პროგრამაში ყურადღება ეთმობა დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებას და ასევე მის პედაგოგიური საქმიანობაში დახელოვნებას, კერძოდ დოქტორანტი:

- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევითი პროექტების განხორციელებას ყველა ეტაპზე: ლიტერატურის და პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება და განზოგადება; მონაცემთა ანალიზი; შედეგების ინტერპრეტაცია; დასკვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.
- ვალდებულია მონაწილება მიიღოს სამეცნიერო კოლოკვიუმებში. სასურველია მოამზადოს სამეცნიერო სტატიები და გამოქვეყნოს ისინი ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში; სასურველია მონაწილება მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში და წარმოადგინოს კვლევების შედეგები.

სწავლის შედეგი: სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ სპეციალისტს უნდა შეეძლოს:

- საზოგადოებრივი გეოგრაფიის სფეროში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა, შედეგების წარმოდგენა საჯარო პრეზენტაციების და სამეცნიერო ნაშრომების სახით;

- სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა და მისი წარმართვა, ასევე სალექციო კურსის (კურსების) მომზადება სახელმძღვანელოს სახით.

4. **დასაქმების სფეროები**

   სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდგომ დოქტორანტს შეეძლება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარმართვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სტრუქტურებში დამოუკიდებელი ანალიტიკურ-თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, ნებისმიერი დონის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება და პროფესიული წვრთნა.

5. **პროგრამაზე მირების წინაპირობები**

   საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლების მსურველებს მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა გეოგრაფიულ, სოციალურ ან პოლიტიკურ მეცნიერებებში, ასევე ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.